

საქართველოს კანონის პროექტი „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“
საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №44, 11.11.1997; სარეგისტრაციო კოდი: 010.320.050.05.001.000.268) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. მე-2 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „ი“, „კ¹“, „ლ¹“, „ლ²“, „მ¹“, „მ²“, „ნ“, „ს“, „ტ“, „ყ“ და „წ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე და მათთან გათანაბრებული პირები, აგრეთვე მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი და მასთან გათანაბრებული პირი;“

„კ¹) საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი, მისი მოადგილე, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი და მასთან გათანაბრებული პირი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი და მასთან გათანაბრებული პირი;“

„ლ¹) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების საქვეუწყებო დაწესებულებათა ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები;“

„ლ²) საჯარო სამართლის იურიდიული პირის (გარდა კულტურული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევითი, სასპორტო და რელიგიური საქმიანობისათვის შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და პოლიტიკური პარტიებისა) ხელმძღვანელი და მისი მოადგილე, ასევე სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი და მასთან გათანაბრებული პირი;“

„მ¹) საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი და მისი მოადგილეები, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფების, მათში შემავალი მთავარი სამმართველოებისა და სამმართველოების უფროსები და მათი მოადგილეები, აგრეთვე მათთან გათანაბრებული პირები; აგრეთვე, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს (დეპარტამენტის) გამომძიებელი (გარდა სტაჟიორ-გამომძიებლისა);“

„მ²) ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის უფროსი და მისი მოადგილე, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი და მისი მოადგილე, აგრეთვე სამმართველოს უფროსი;“

„ნ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ორგანოს /საბაჟო ორგანოს ხელმძღვანელი და მისი მოადგილე;“

„ს) საქართველოს ეროვნული მარეგულირებელი კომისიის წევრი, აგრეთვე კომისიის აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელები და მათთან გათანაბრებული პირები;“

„ტ) საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე და კომისიის მდივანი; საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე და კომისიის მდივანი; მათ შორის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირები;“

„ყ) „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის პირველი, 1¹ და 1² პუნქტებით განსაზღვრული პროკურორები (გარდა სტაჟიორ-პროკურორისა), საქართველოს გენერალური პროკურატურის დეპარტამენტების უფროსები, რომლებზედაც არ ვრცელდება „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის მოქმედება; აგრეთვე, საქართველოს გენერალური პროკურატურის კორუფციულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი ღონის სამმართველოს გამომძიებელი (გარდა სტაჟიორ-გამომძიებლისა);“

„წ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორი და მისი მოადგილე, უფროსი საინვესტიციო ოფიცერი;“

ბ) პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ²“, „თ³“, „კ⁴“ და „ნ¹“ ქვეპუნქტები:

„თ²) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროების სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები და მათთან გათანაბრებული პირები;“

„თ³) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობის აპარატის უფროსი, მისი მოადგილე, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობის აპარატების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე და მათთან გათანაბრებული პირები;“

„კ⁴) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების აპარატის უფროსი, მისი მოადგილე, აგრეთვე პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი და მასთან გათანაბრებული პირი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი და მასთან გათანაბრებული პირი;“

„ნ¹) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის უფროსი და მისი მოადგილე, საბაჟო დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი და მისი მოადგილე, განყოფილების უფროსი, საბაჟო ლაბორატორიის უფროსი; საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების ეკონომიკური ზონის უფროსი და მისი მოადგილე, სამმართველოს უფროსი და მისი მოადგილე; საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილების უფროსი; საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო გამშვები პუნქტის უფროსი და მისი მოადგილე;“

გ) მეორე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) იმ საწარმოს ხელმძღვანელი და მისი მოადგილე, რომლის აქციათა ან წილის 50 და მეტ პროცენტს ფლობს სახელმწიფო ორგანო, მათ შორის აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობები ან მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები, აგრეთვე ამ საწარმოს შვილობილი საწარმოს ხელმძღვანელი და მისი მოადგილე;“

2. მე-4 მუხლის „ა“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) „ოჯახის წევრში“ იგულისხმება პირის მეუღლე, შვილი და გერი, აგრეთვე მასთან მუდმივად მცხოვრები პირი;“

3. მე-14 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „5³“, „5⁴“ და „14“ პუნქტები:

„5³. ამ კანონის მეორე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული საწარმოს, აგრეთვე ამ საწარმოს შვილობილი საწარმოს, მმართველობითი ორგანოს წევრმა საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი გამარტივებული ფორმით შეავსოს და წარადგინოს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია.“

„5⁴. მუნიციპალიტეტის საკრებულოს იმ წევრმა, რომელიც საკრებულოს თანამდებობის პირი არ არის, საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი გამარტივებული ფორმით შეავსოს და წარადგინოს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია.“

„5⁵. სახელმწიფო-პოლიტიკური და პოლიტიკური თანამდებობის პირის მრჩეველმა საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი გამარტივებული ფორმით შეავსოს და წარადგინოს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია.“

„14. თანამდებობის პირი ვალდებულია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში შეიგანოს ცვლილებები ბიუროს მიერ განხორციელებული ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის შედეგად აღმოჩენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, ბიუროს მიერ თანამდებობის პირისთვის მონიტორინგის საბოლოო შედეგების შეცვობინებიდან ერთი თვის ვალაში.“

4. მე-15 მუხლის პუნქტები „გ“, „დ“, „ე“, „ი“, „კ“, „ლ“, „მ“ და „ნ“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია შეიცავს შემდეგ ინფორმაციას პირის, მისი ოჯახის წევრების და ახლო ნათესავების შესახებ:“

„გ) პირის, მისი ოჯახის წევრის და ახლო ნათესავის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების ადგილი, წელი, თვე და რიცხვი, პირთან ნათესაური ან სხვაგვარი კავშირი;“

„დ) პირის, მისი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (საქართველოში და სხვა ქვეყანაში) – მესაკუთრის ვინაობა (თუ ნივთი საერთო საკუთრებაშია – აგრეთვე თანამესაკუთრის ვინაობა და პირის, მისი ოჯახის წევრის წილის ოდენობა), შეძენის თარიღი (დღე, თვე, წელი), შეძენის ფორმა, გადახდილი საფასურის ოდენობა, საერთო ფართობი, ადგილმდებარეობა, საკადასტრო კოდი;“

„ე) პირის, მისი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება (ფასიანი ქაღალდების, საბანკო ანგარიშის ან/და შენაგანის, ნებისმიერი სახის კრიპტოვალუტის, ნაღდი ფულადი თანხის გარდა), რომელთაგან თითოეულის ღირებულება 10 000 ლარს აღემატება, – მესაკუთრის ვინაობა (თუ ნივთი საერთო საკუთრებაშია – აგრეთვე თანამესაკუთრის ვინაობა და პირის, მისი ოჯახის წევრის წილის ოდენობა), შეძენის თარიღი (დღე, თვე, წელი), შეძენის ფორმა და გადახდილი საფასურის ოდენობა;“

„ი) საქართველოში ან სხვა ქვეყანაში სამეწარმეო საქმიანობაში პირის, მისი ოჯახის წევრის პირდაპირი მონაწილეობა და არაპირდაპირი მონაწილეობა, მათ შორის ინფორმაცია ბენეფიციარი მესაკუთრეობის შესახებ. საწარმოს საქმიანობაში პირდაპირი მონაწილეობისას: საწარმოს საქმიანობაში მონაწილე პირი და მონაწილეობის ფორმა, პარგნიორების სახელები და გვარები (იურიდიული პირის შემთხვევაში – სრული საფირმო სახელწოდება, საიდენტიფიკაციო კოდი, იურიდიული მისამართი), საწარმოს სრული საფირმო სახელწოდება, საიდენტიფიკაციო კოდი, იურიდიული მისამართი, მარეგისტრირებული ორგანო და რეგისტრაციის თარიღი, წილის პროცენტული ოდენობა, მონაწილეობის პერიოდი და საანგარიშო წლის განმავლობაში საწარმოდან მიღებული შემოსავლის ოდენობა (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გარეშე); საწარმოს საქმიანობაში არაპირდაპირი მონაწილეობისას: სხვა საწარმოს სრული საფირმო სახელწოდება, საიდენტიფიკაციო კოდი, საქმიანობის სახეობა, პარგნიორების სახელები და გვარები (იურიდიული პირის შემთხვევაში – სრული საფირმო სახელწოდება, საიდენტიფიკაციო კოდი, იურიდიული მისამართი), სხვა საწარმოს კაპიტალში ძირითადი საწარმოს წილის პროცენტული ოდენობა;“

„კ) საქართველოში ან სხვა ქვეყანაში პირის, მისი ოჯახის წევრის მიერ შესრულებული ნებისმიერი ანაზღაურებადი სამუშაო, სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობის გარდა, – სამუშაოს შემსრულებელი პირის ვინაობა, სამსახური (იურიდიული პირის შემთხვევაში – სრული სახელწოდება, საიდენტიფიკაციო კოდი, იურიდიული მისამართი), რომელშიც პირს უკავია/ეკავა თანამდებობა ან ასრულებს/ასრულებდა სამუშაოს, თანამდებობის დასახელება ან სამუშაოს შინაარსი, საანგარიშო პერიოდში სამუშაოს შესრულებით მიღებული შემოსავალი (საშემოსავლო გადასახადის გარეშე). აგრეთვე, თანამდებობის დაკავების და დატოვების ან სამუშაოს შესრულების დაწყების და დასრულების თარიღი (დღე, თვე, რიცხვი);“

„ლ) საქართველოში ან სხვა ქვეყანაში პირის, მისი ოჯახის წევრის მიერ დადებული ნებისმიერი ხელშეკრულება (გარდა მიღებული საჩუქრისა), რომლის საგნის ღირებულება აღემატება 10 000 ლარს (მათ შორის, წილის მინდობის ხელშეკრულება, ღირებულების მიუხედავად), – ხელშეკრულების სახეობა, ხელშეკრულებაში მონაწილე პირის ვინაობა (იურიდიული პირის შემთხვევაში – სრული სახელწოდება, საიდენტიფიკაციო კოდი, იურიდიული მისამართი), ხელშეკრულების საგანი და მისი ღირებულება, ხელშეკრულების დადების თარიღი (დღე, თვე, წელი) და მოქმედების ვადა, ორგანო, რომელმაც მოახდინა ხელშეკრულების სახელმწიფო რეგისტრაცია ან დამოწმება, საანგარიშო პერიოდში ხელშეკრულებით მიღებული მაგერიალური შედეგი (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გარეშე);“

„მ) პირის, მისი ოჯახის წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში მიღებული საჩუქარი, რომლის ღირებულება აღემატება 500 ლარს – საჩუქრის მიმღების ვინაობა, საჩუქრის გადამცემი (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი (დღე, თვე, წელი); იურიდიული პირის შემთხვევაში – სრული სახელწოდება, საიდენტიფიკაციო კოდი, იურიდიული მისამართი), გადამცემის მიმღებთან კავშირი, საჩუქრის სახეობა, საჩუქრის საბაზრო ღირებულება, საჩუქრის მიღების თარიღი (დღე, თვე, წელი);“

„ნ) საანგარიშო პერიოდში პირის, მისი ოჯახის წევრის ნებისმიერი ერთგვაროვანი შემოსავალი, რომლის ოდენობა (ღირებულება) აღემატება 3 000 ლარს, ან/და ერთგვაროვანი გასავალი, რომლის ოდენობა (ღირებულება) თითოეულ შემთხვევაში აღემატება 5 000 ლარს, ამ მუხლში აღნიშნული სხვა შემოსავლის ან/და გასავლის გარდა, – პირი, მისი ოჯახის წევრი, რომელსაც ჰქონდა შემოსავალი ან/და გასავალი, შემოსავლის ან/და გასავლის წყარო (იურიდიული პირის შემთხვევაში – სრული სახელწოდება, საიდენტიფიკაციო კოდი, იურიდიული მისამართი), სახეობა და ოდენობა (ღირებულება);“

5. მე-15 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ¹“ და „კ¹“ პუნქტები:

„ვ¹) პირის, მისი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული ნებისმიერი სახის კრიპტოვალუტა, – მესაკუთრის ვინაობა, კრიპტოვალუტის სახეობა, შეძენის თარიღი (დღე, თვე, წელი), შეძენის ფორმა, გადახდილი საფასურის ოდენობა, ნომინალი და რაოდენობა;“

„კ¹) საქართველოში ან სხვა ქვეყანაში პირის, მისი ოჯახის წევრის მიერ შესრულებული ნებისმიერი არა ანაზღაურებადი სამუშაო, – სამუშაოს შესრულებელი პირის ვინაობა (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი), სამსახური (იურიდიული პირის შემთხვევაში – სრული სახელწოდება, საიდენტიფიკაციო კოდი, იურიდიული მისამართი), რომელშიც პირს უკავია/ეკავა თანამდებობა ან ასრულებს/ასრულებდა სამუშაოს, თანამდებობის დასახელება ან სამუშაოს შინაარსი. აგრეთვე, თანამდებობის დაკავების და დატოვების ან სამუშაოს შესრულების დაწყების და დასრულების თარიღი (დღე, თვე, რიცხვი);“

6. მე-18 მუხლის პირველი პუნქტი და მეორე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მიღებას, შესაბამისი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის საჯაროობას და მათი ღია მონაცემების ფორმატში ხელმისაწვდომობას, დეკლარაციის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ჩაბარების კონტროლს უზრუნველყოფს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს ასრულებს ბიურო;“

„დ) თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შინაარსის საჯაროობას და მათი ღია მონაცემების ფორმატში ხელმისაწვდომობას.“

7. მე-18¹ მუხლის:

ა) მეორე პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების ერთიანი ელექტრონული სისტემის მიერ თანამდებობის პირების რისკებზე-დაფუძნებული ავტომატური შერჩევა, რომელიც განისაზღვრება „შესამოწმებელი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად;“

„ბ) დასაბუთებული წერილობითი განცხადება, მათ შორის ანონიმური;“

ბ) მე-6 და მე-13 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დამოუკიდებელი კომისიის შემადგენლობას განსაზღვრავს ბიუროს უფროსი. დამოუკიდებელ კომისიაში საჯარო მოსამსახურეები არ შედიან. ბიუროს უფროსის ბრძანების საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი კომისია შედგება 5 წევრისაგან, რომელთაგან 3 არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელია, ხოლო 2 აკადემიური წრის წარმომადგენელი ან/და კორუფციის თემაზე მომუშავე ჟურნალისტი;“

„13. ამ მუხლის მე-11 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში არასრული ან არასწორი მონაცემის შეგანის შემთხვევაში დანაშაულის ნიშნების არსებობისას, მათ შორის დაუსაბუთებელი ქონების უკანონო ფლობის ნიშნების არსებობისას, ბიურო ვალდებულია შესაბამისი დეკლარაცია და წარმოების მასალები შემდგომი რეაგირებისათვის სათანადო სამართალდამცავ ორგანოს გადაუგზავნოს.“

8. მე-18¹ მუხლის მეორე პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

„გ) მასმედიაში გამოქვეყნებული ინფორმაცია;“

9. მე-18¹ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „6¹“, „7¹“ და „7²“ პუნქტები:

„6¹. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დამოუკიდებელი კომისიის ვერ შექმნის შემთხვევაში, ანტიკორუფციული ბიურო უზრუნველყოფს დამატებით თანამდებობის პირთა საერთო რაოდენობის 5%-ის შერჩევას 18¹ მუხლის მეორე პუნქტის ა ქვეპუნქტის შესაბამისად;“

„7¹. ბიუროს მიერ თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის შედეგების პროაქტიულად გამოქვეყნებული ანგარიში (ან და მისი დანართი) უნდა მოიცავდეს დარღვევების დეტალურ აღწერას, ინფორმაციას სამართალდამცავ ორგანოში გადაგზავნილი დეკლარაციის (თანამდებობის პირის) შესახებ, აგრეთვე ინტერესთა და თანამდებობრივი შეუთავსებლობის თითოეული გამოვლენილი შემთხვევის დეტალურ აღწერას, თანამდებობის პირისა და დარღვევის მუსკი ფორმის მითითებით;“

„7². ბიურომ უზრუნველყოს თანამდებობის პირის დაჯარიმების შესახებ „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ბიუროს უფროსის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - განკარგულების საჯაროდ ხელმისაწვდომობა;“

10. 18¹ მუხლის 13¹ ქვეპუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს.

11. 18¹ მუხლის 13² პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

12. მე-19 მუხლის „1“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ნებისმიერ პირს აქვს უფლება, მოითხოვოს, მიიღოს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის ასლი და გაეცნოს მას, გარდა ამ დეკლარაციაში აღნიშნული პირადი ნომრისა, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მისამართისა და გელეფონის ნომრისა და დეკლარაციის საიდუმლო გრაფისა, აგრეთვე იმ თანამდებობის პირის დეკლარაციისა, რომლის თანამდებობას „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საიდუმლოების გრიფი აქვს მინიჭებული (გარდა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს (დეპარტამენტის) თანამდებობის პირებისა);“

13. მე-20 მუხლის „1¹“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1¹. ამ კანონის 18¹ მუხლის მე-11 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში თანამდებობის პირი ჯარიმდება თანამდებობრივი სარგოს 20%-ით, მაგრამ არანაკლებ 500 ლარისა, ხოლო ის პირი, რომელიც გათავისუფლდა თანამდებობიდან, – თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში

ბოლოს მიღებული თანამდებობრივი სარგოს 20%-ით, მაგრამ არანაკლებ 500 ლარისა, რის შესახებაც გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – განკარგულება. 3 წლის განმავლობაში ამ კანონის 18¹ მუხლის მე-11 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში თანამდებობის პირის მეორეჯერ დაჯარიმებისას, თანამდებობის პირს ერთი კალენდარული წლით შეეზღუდება თანამდებობრივი დაწინაურება ან/და თანამდებობრივი სარგოს ზრდა და ფულადი ჯილდოს მიღება.“

მუხლი 2.

საქართველოს მთავრობას დაევალოს შესაბამის კანონქვემდებარე აქტებში შესაბამისი ცვლილებების ასახვა.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზმი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

მიუხედავად იმისა, რომ კანონის საფუძველზე განსაზღვრულია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების წარდგენის წესი, დეკლარაციის წარმდგენ თანამდებობის პირთა ჩამონათვალი, წარსადგენი ინფორმაციის შინაარსი და ასევე წარდგენილი დეკლარაციების მონიტორინგის წესი – პრაქტიკა ცხადყოფს, რომ საქართველოში დეკლარაციების მონიტორინგის სისტემა ვერ ჩამოყალიბდა კორუფციასა და ინტერესთა შეუთავსებლობასთან ბრძოლის მძლავრ ინსტრუმენტად.¹

სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ გამოქვეყნებული თანამდებობის პირის ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის ანგარიშების² ანალიზი³ აჩვენებს, რომ 2021 და 2022 წლებში საქართველოში სულ მცირე, ყოველი მეორე თანამდებობის პირი დეკლარაციას დარღვევებით ავსებს.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელის (OECD/ACN) მიერ გამოქვეყნებული მონიტორინგის ბოლო ანგარიში⁴ მიუთითებს ყველა იმ ძირითად გამოწვევაზე, რომელიც საქართველოში თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების სისტემას აქვს, მათ შორის: წარსადგენი ინფორმაციის ნუსხაში, თანამდებობის პირთა წრეს და მონიტორინგის პროცესთან დაკავშირებით.

- თანამდებობის პირთა წრე, რომლებზეც ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების წარდგენის ვალდებულება ვრცელდება

¹ ქონებრივი დეკლარაციების სისტემა განახლების მოლოდინში, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, სექტემბერი 29, 2020, ხელმისაწვდომია [აქ](#); „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის აღსრულების შეფასება (2016-2020), საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, დეკემბერი 7, 2021, ხელმისაწვდომია [აქ](#).

² 2021 წელს განხორციელებული დეკლარაციების მონიტორინგის შედეგების ანგარიში, საჯარო სამსახურის ბიურო, დეკემბერი 31, 2021, ხელმისაწვდომია [აქ](#); 2022 წელს განხორციელებული დეკლარაციების მონიტორინგის შედეგების ანგარიში, საჯარო სამსახურის ბიურო, დეკემბერი 31, 2022, ხელმისაწვდომია [აქ](#).

³ ქონებრივი დეკლარაციების 2020 წლის მონიტორინგი – გაუარესებული შედეგები და არარსებული ფოკუსი კორუფციის გამოვლენაზე, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, მარტი 22, 2021, ხელმისაწვდომია [აქ](#); საქართველოში თანამდებობის პირების ნახევარი დეკლარაციას არაკეთილსინდისიერად ავსებს, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, მარტი 16, 2022, ხელმისაწვდომია [აქ](#); საქართველოში ყოველი მეორე თანამდებობის პირი დეკლარაციას დარღვევებით ავსებს, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, მარტი 24, 2023, ხელმისაწვდომია [აქ](#).

⁴ OECD (2022), Anti-Corruption Reforms in Georgia: Pilot 5th Round of Monitoring Under the OECD Istanbul Anti-Corruption Action Plan, გვ. 30-42, ხელმისაწვდომია [აქ](#);

პირველ რიგში, გაფართოებას საჭიროებს იმ თანამდებობის პირთა წრე, რომლებსაც ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების წარდგენის ვალდებულება ექნებათ.⁵ მოქმედი კანონმდებლობით „თანამდებობის პირის“ განმარტება ფართოა, თუმცა დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებისგან გათავისუფლებული არიან ისეთი პირები, რომელთა თანამდებობებიც ინტერესთა კონფლიქტის ან/და პოტენციური კორუფციის, ასევე ძალაუფლების ბოროტად გამოყენების მომეგებულ რისკს შეიცავს.⁶ მაგალითად, წინამდებარე კანონის მოქმედი რედაქციით დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება არ ვრცელდება ანტიკორუფციულ საქმეთა გამომძიებლებზე, არც სახელმწიფო-პოლიტიკური და პოლიტიკური თანამდებობის პირთა მრჩეველებზე. მაგალითად, პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის სხვა წევრთა, პრეზიდენტის, სახელმწიფო რწმუნებულის, მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველები.

სახელმწიფო-პოლიტიკური და პოლიტიკური თანამდებობის პირთა მრჩეველებზე დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება ვრცელდება⁷ მაგალითად, ირლანდიაში, ბოსნია-ჰერცეგოვინაში, ლაგვიაში. ლაგვიაში⁸ ეს წრე კიდევ უფრო ფართოვდება და იგი პრეზიდენტის მრჩეველებზე, ასევე პრემიერ-მინისტრის, ვიცე-პრემიერის, მინისტრის, სახელმწიფო მინისტრის ოფისების/აპარატის უფროსებზე, მრჩეველებზე, კონსულგანგებსა და ასისტენტებზეც ვრცელდება. დიდ ბრიტანეთში დეკლარაციას წარადგენენ პარლამენტის წევრთა თანამშემწეები და კვლევითი ასისტენტები, მათი აპარატის წევრები.⁹ რაც შეეხება, ანტიკორუფციულ საქმეთა გამომძიებლებს, მსგავსი პრაქტიკა მოქმედებს მაგალითად, ლაგვიაში, ლიეტუვაში და ამასთან, ის OECD/ACN-ის სტანდარტთაც¹⁰ გათვალისწინებულია.

აღსანიშნავია, რომ მოქმედი კანონით დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება ვრცელდება მხოლოდ იმ საწარმოს ხელმძღვანელებზე, რომლის 100% წილს ფლობს სახელმწიფო ორგანო ან მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები (აგრეთვე ამ საწარმოს შვილობილი საწარმოს ხელმძღვანელებზე). ამასთან, დეკლარირების ვალდებულება ვრცელდება მხოლოდ დირექტორზე და არა მაგალითად, მის მოადგილეზე, ან/და მმართველობითი ორგანოს წევრზე. კანონის არსებული რედაქციით, მაგალითად, დეკლარაციის შევსებისა და წარდგენის ვალდებულებისგან თავისუფალი არიან ისეთი პირები, რომლებიც სახელმწიფო საწარმოთა მართვასა და ფუნქციონირებაზე არიან პასუხისმგებლები. გარდა ამისა, ქვეყნების უმეტესობაში სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობა 50+ პროცენტამდე შემცირებული და ამასთან აუცილებლად მოიცავს გამგეობის ან ნებისმიერი სხვა მმართველობითი ორგანოს წევრებსაც. მსგავსი პრაქტიკა მოქმედებს ლიეტუვაში, ლაგვიაში, პორტუგალიაში; ესპანეთში ეს წრე უფრო ფართოა.

გარდა ამისა, დეკლარაციის წარდგენა არ მოეთხოვებათ მუნიციპალიტეტის საკრებულოს არა-თანამდებობის წევრებს, მათ შორის არც მისი გამარტივებული ფორმის. მაგალითად, ლაგვიაში ადგილობრივი თვითმმართველობის საბჭოს ყველა წევრი წარადგენს დეკლარაციას.

- **თანამდებობის პირის მიერ წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა**

⁵ OECD (2022), Anti-Corruption Reforms in Georgia: Pilot 5th Round of Monitoring Under the OECD Istanbul Anti-Corruption Action Plan, ხელმისაწვდომია [აქ](#); „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის აღსრულების შეფასება (2016-2020), საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, დეკემბერი 7, 2021, ხელმისაწვდომია [აქ](#).

⁶ OECD (2016), Anti-corruption reforms in Georgia, 4th round of monitoring of the Istanbul Anti-Corruption Action Plan, ხელმისაწვდომია [აქ](#); OECD (2022), Anti-Corruption Reforms in Georgia: Pilot 5th Round of Monitoring Under the OECD Istanbul Anti-Corruption Action Plan, ხელმისაწვდომია [აქ](#).

⁷ OECD (2011), Asset Declarations for Public Officials: A Tool to Prevent Corruption, OECD Publishing, ხელმისაწვდომია [აქ](#).

⁸ Latvia: Law “On Prevention of Conflict of Interest in Activities of Public Officials”, Section 4, Clause 1, Point 5, ხელმისაწვდომია [აქ](#).

⁹ OECD (2011), Asset Declarations for Public Officials: A Tool to Prevent Corruption, OECD Publishing, ხელმისაწვდომია [აქ](#).

¹⁰ OECD (2023), Istanbul Anti-Corruption Action Plan, 5th Round of Monitoring: Guide, ხელმისაწვდომია [აქ](#).

OECD შეფასებით, გავრცელებული პრაქტიკით, კორუპციული ჩინოვნიკები ხშირად მალავენ თავიანთ ქონებას ნათესავების, მათი მეუღლეებისა და სხვა პირების საშუალებით. აქედან გამომდინარე, შესაძლებელი უნდა იყოს არა მხოლოდ თანამდებობის პირის, არამედ ახლო ნათესავების და ოჯახის წევრების სიმდიდრის მონიტორინგი.¹¹

ბოლო რამდენიმე წელია საქართველოში თანამდებობის პირთა მიერ წარდგენილი ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის შედეგად აღმოჩენილი დარღვევების უმეტესი ნაწილი ოჯახის წევრებთან დაკავშირებულ ინფორმაციის არ ან/და არასწორ მითითებას უკავშირდება.¹² მაგალითად, 2022 წლის მონიტორინგის ანგარიშის მიხედვით, უარყოფითად შეფასებული დეკლარაციების 78%-ში ოჯახის წევრების მონაცემები იყო არასწორად მითითებული.¹³ საყურადღებოა, რომ 2019 წლიდან ყოველწლიურად იზრდება ოჯახის წევრ(ებ)ის მონაცემების მითითებასთან დაკავშირებული დარღვევების რაოდენობა. თუ 2019 წელს უარყოფითად შეფასებული დეკლარაციებიდან 63%-ში ვხვდებით ამ ტიპის დარღვევას, 2022 წელს ეს მაჩვენებელი 78%-მდე გაიზარდა.¹⁴

გარდა ამისა, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და გამომძიებელ ჟურნალისტთა მიერ აღმოჩენილია კორუფციული დარღვევების არაერთი სავარაუდო საქმე, თანამდებობის პირთა ოჯახის წევრებისა და ახლო ნათესავების სახელზე არსებულ დაუდგენილებელი ქონებისა და ბიზნეს ინტერესების შემთხვევებს მოიცავს.¹⁵ ხშირია საეჭვო შემთხვევები, როცა თანამდებობის პირების ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები ფლობენ უძრავს ქონებას და ეწევიან ბიზნეს საქმიანობას, რომლის შესახებაც სამოგადოებამ არაფერი იცის, რადგან მოქმედი კანონმდებლობით მათ შეუძლიათ დეკლარაციაში აღარ უთითებდნენ სრულწლოვანი შვილი და გერი; ასევე, დედ-მამას, და-მმას და სხვა ახლო ნათესავები, თუ ისინი თანამდებობის პირთან ერთად მუდმივად მცხოვრები პირები არ არიან.

განსაკუთრებით ადგილობრივი კონტაქტის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, დეკლარანტს გაუჩნდეს ვალდებულება დეკლარაციაში მიუთითოს ახლო ნათესავებიც და ასევე, სრულწლოვანი და ფინანსურად დამოუკიდებელი შვილი და გერი. მაგალითად, ლატვიაში თანამდებობის პირმა დეკლარაციაში უნდა მიუთითოს მეუღლე, მშობლები, დედამამიშვილები (მათ შორის, ნახევარ და და ნახევარ ძმა), შვილები.¹⁶ ლიეტუვაში კი, ეს მოთხოვნა კიდევ უფრო ფართო განმარტებას მოიცავს: დაახლოებული პირი ან სხვა ნებისმიერ პირი, რომლებსაც ის იცნობს და რომელთა მიმართებითაც შეიძლება, ინტერესთა კონფლიქტი დადგეს.¹⁷ საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, არსებობს შემთხვევები, როცა მოთხოვნა ახლო ნათესავებთან მიმართებით, მხოლოდ ამ პირთა იდენტიფიცირებაა საკმარისი, მათი ქონებრივი და ბიზნეს ინტერესების გაცხადების გარეშე.

აღსანიშნავია, OECD განმარტებით, დეკლარაციის ფორმამ უნდა დაფაროს საკმარის ფართო ინფორმაციული არეალი, რათა მოხდეს როგორც ინტერესთა კონფლიქტის, ასევე შესაძლო უკანონო გამდიდრების შემთხვევების გამოაშკარავება. დეკლარაცია უნდა ასახავდეს ყველა სახის შემოსავალს მათი წყაროების მითითებით, ფინანსურ ვალდებულებებსა და დანახარჯებს, მათ შორის მოიცავდეს ბენეფიციარი მესაკუთრეობის შესახებ ინფორმაციას კომპანიებში, საინვესტიციო ფონდებსა და

¹¹ OECD (2011), Asset Declarations for Public Officials: A Tool to Prevent Corruption, OECD Publishing, p. 14, ხელმისაწვდომია [აქ](#).

¹² სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ განხორციელებული დეკლარაციების მონიტორინგის შედეგების ანგარიშები.

¹³ საქართველოში ყოველი მეორე თანამდებობის პირი დეკლარაციას დარღვევებით ავსებს, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, მარტი 24, 2023, ხელმისაწვდომია [აქ](#).

¹⁴ იქვე.

¹⁵ მაღალი დონის კორუფციის სავარაუდო შემთხვევები - განახლებადი სია, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, ბოლოს განახლებულია: 24.04.2023, ხელმისაწვდომია [აქ](#).

¹⁶ Latvia: Law “On Prevention of Conflict of Interest in Activities of Public Officials”, Section 24, Clause 1, Point 1, ხელმისაწვდომია [აქ](#).

¹⁷ Republic of Lithuania: Law on the Adjustment of Public and Private Interests in the Civil Service, Article 6, Clause 10, ხელმისაწვდომია [აქ](#).

აქტივებზე.¹⁸ მსოფლიო ბანკის 2020 წლის ანგარიშის მიხედვით, ქონებრივი და ინტერესთა გაცხადების თანამედროვე სისტემები უნდა ითვალისწინებდეს ფულის გათეთრებისა და კორუფციის ახალ ფორმებსაც. აუცილებელია, რომ დეკლარაციის სისტემამ გამოავლინოს საჯარო მოსამსახურის და მასთან დაკავშირებული პირების ბენეფიციარული მესაკუთრეობა.¹⁹ ამ მიმართულებით, კანონმდებლობის მოქმედი რედაქციით, გათვალისწინებული არ არის „ბენეფიციარი მესაკუთრეობის შესახებ“ ინფორმაციის გაცხადება. კანონის მოთხოვნა არც კრიპტო ვალუტების ფლობასთან მიმართებითაა კონკრეტული. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე დეკლარანტს ფასიანი ქაღალდების სექციაში მითითებული აქვს მათ საკუთრებაში არსებული კრიპტოვალუტების სახეობა და რაოდენობა, კანონი მკაფიოდ არ განსაზღვრავს მათი გაცხადების ვალდებულებას.

კიდევ ერთი ხარვეზი, თანამდებობის პირის მიერ თანამდებობაზე პირველად განმწესებამდე და თანამდებობის დატოვების შემდეგ გაწეული ანაზღაურებადი და არა ანაზღაურებადი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის საჯაროდ ხელმისაწვდომობის პრობლემას უკავშირდება. ამ ტიპის ინფორმაციის საჯაროობა საერთაშორისო კარგი პრაქტიკის ნაწილია. გარდა ამისა, ამ ინფორმაციის საჯაროობაზე შეზღუდვის არსებობა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებსა და გამომძიებელ ჟურნალისტებს ინტერესთა კონფლიქტისა და კორუფციის ერთ-ერთი სახის – „მბრუნავი კარის“ შემთხვევების გამოაშკარავების შესაძლებლობას უზღუდავს.²⁰

კიდევ ერთი მანკიერი პრაქტიკა 2019 წელს განხორციელებულ ცვლილებას უკავშირდება, რომლის მიხედვითაც დარღვევად არ ითვლება, თუ თანამდებობის პირი დეკლარაციაში არ მიუთითებს ისეთი კომპანიის ფლობის შესახებ, რომელსაც ბოლო 6 წლის განმავლობაში არ ჰქონდა ბრუნვა. ეს პრაქტიკა განსაკუთრებით პრობლემურია, რადგან იგი უკიდურესად ართულებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, მედიისა და დაინტერესებული მოქალაქეების მიერ თანამდებობის პირების ბიზნესკავშირების მონიტორინგს, რადგანაც ისინი მოკლებულნი არიან იმის შემოწმების შესაძლებლობას, ფუნქციონირებდა თუ არა რომელიმე კომპანია ბოლო 6 წლის განმავლობაში – ეს ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის, რადგანაც წარმოადგენს საგადასახადო საიდუმლოებას და მხოლოდ შესაბამის ოფიციალურ უწყებებს აქვთ მასზე წვდომა. ამგვარი ცვლილება ძირს უთხრის თანამდებობის პირთა სამეწარმეო საქმიანობის გამჭვირვალობას და არსებითად ეწინააღმდეგება როგორც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიზნებსა და სულისკვეთებას, ისე საქართველოს საერთაშორისო ანტიკორუფციულ ვალდებულებებს. ის ასევე შეუძლებელს ხდის სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგების გადამოწმებას, მისი ეფექტიანობის დადგენის მიზნით.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, თანამდებობის პირის დეკლარაციაში ზოგიერთ ჩანაწერს დეგალიმება აკლია. მაგალითად, თანამდებობის პირის ან მისი ოჯახის წევრების სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობის შემთხვევაში, დეკლარაციაში არ აღინიშნება საწარმოსა თუ კომპანიის საიდენტიფიკაციო, ხოლო უძრავი ქონების შემთხვევაში კი - მათი საკადასტრო კოდეზი.

- **დეკლარაციების მონიტორინგი**

დეკლარაციების მონიტორინგის არსებული სისტემა რამდენიმე მიმართულებითაა ხარვეზიანი და საჭიროებს გაუმჯობესებას.

¹⁸ OECD (2020), Anti-corruption Reforms in Eastern Europe and Central Asia Progress and Challenges 2016-2019, OECD Publishing, ხელმისაწვდომია [აქ](#).

¹⁹ Enhancing Government Effectiveness and Transparency: The Fight Against Corruption, World Bank, 2020, ხელმისაწვდომია [აქ](#).

²⁰ კორუფციის რისკის შემცველი „მბრუნავი კარის“ შემთხვევების რეგულაცია პრაქტიკაში არ მუშაობს, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, ივნისი 5, 2021, ხელმისაწვდომია [აქ](#).

კანონის მოქმედი რედაქციით, მონიტორინგის დაწყების საფუძველი შესაძლოა გახდეს ელექტრონული სისტემის მიერ თანამდებობის პირების შემთხვევითი შერჩევა, დასაბუთებული წერილობითი განცხადება ან/და დამოუკიდებელი კომისიის მიერ სახელმწიფო-პოლიტიკური და განსაკუთრებული ფაქტორების გათვალისწინებით შერჩეული თანამდებობის პირები. ბიუროს მიერ მონიტორინგის დაწყების საფუძველი არ შეიძლება იყოს ანონიმური განცხადება. ამასთან ბიურო არც სხვადასხვა ღია წყაროებზე არსებული მონაცემების გადამოწმების, მათ შორის არც მედია საშუალებების მიერ შესაძლო დარღვევების შესახებ გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე არ იწყებს დეკლარაციების მონიტორინგს. დეკლარაციაზე მონიტორინგის დაწყება ანონიმური განცხადების საფუძველზე OECD მიხედვით, საერთაშორისო კარგი პრაქტიკის ნაწილია.

დეკლარაციების მონიტორინგისთვის შერჩევის ეტაპზე, კიდევ ერთ ხარვეზს ვაწყდებით ელექტრონული სისტემის მიერ თანამდებობის პირების შემთხვევითი შერჩევას, რადგან უგულებელყოფილია რისკებზე დაფუძნებული მიდგომა.²¹ ელექტრონული პროგრამა ვერ უზრუნველყოფს დეკლარანტთა რისკ-კატეგორიებად, მათი თანამდებობისა ან ფუნქციების გათვალისწინებით დაჯგუფებას და შემდეგ გადარჩევას. OECD-ის შეფასებით, აუცილებელია კანონის საფუძველზე მკაფიოდ განისაზღვროს კონკრეტული პოზიციები/ფუნქციები, რომლებიც აუცილებლად უნდა დაექვემდებაროს მონიტორინგს. აღნიშნული, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს მაღალი თანამდებობის ყველა პირის დეკლარაციის ყოველ ჯერზე შემოწმებას, თუმცა კანონმა უნდა დაადგინოს, თუ რომელი მოხელეების გადამოწმება აუცილებელი და პრიორიტეტული მნიშვნელობის მქონე თანამდებობის პირებს. მსგავსი ინსტრუმენტი აადვილებს შემოწმების პროცესს და ამ პროცესზე პასუხისმგებელი უწყების მუშაობასაც უფრო ეფექტურსა და მიზანმიმართულს ხდის.²²

გარდა ამისა, ყოველწლიური მონიტორინგისთვის დეკლარაციების შერჩევის დამოუკიდებელი კომისიის ვერ დაკომპლექტების შემთხვევაში, ყოველწლიურად მონიტორინგს ექვემდებარება კანონით განსაზღვრული რაოდენობის მხოლოდ ნახევარი (თანამდებობის პირთა საერთო რაოდენობის 10%-ის ნაცვლად მხოლოდ 5%). ამ შემთხვევაში, საერთაშორისო კარგი პრაქტიკის საპირისპიროდ, სათანადო ყურადღების მიღმა რჩებიან სახელმწიფო-პოლიტიკური, პოლიტიკური და განსაკუთრებული კორუფციული რისკის მქონე თანამდებობის პირები.

აღსანიშნავია, რომ დეკლარაციების მონიტორინგის 6 წლის მანძილზე, დამოუკიდებელი კომისიის ფორმირება მხოლოდ ორჯერ 2018 და 2022 წლებში გახდა შესაძლებელი, რისი ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორიც კომისიის დაკომპლექტების ხარვეზიანი წესია. აუცილებელია, მინიმუმამდე შემცირდეს კომისიის ვერ შექმნის ალბათობა, რისთვისაც საჭიროა, კომისიის წევრ პოტენციურ კანდიდატთა წრის გაფართოება. კერძოდ კი, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და აკადემიური წრის წარმომადგენლებთან ერთად, კონკურსში მონაწილეობის მიღება გამომძიებელ ჟურნალისტებსაც უნდა შეეძლოს. გამომდინარე იქიდან, რომ აკადემიური სფეროს წარმომადგენლები ნაკლებად არიან ჩართულები დეკლარაციების მონიტორინგის პროცესში და ასევე, ნაკლებ დაინტერესებას ავლენენ კომისიის საქმიანობაში ჩართვასთან დაკავშირებით, ხოლო ამის საპირისპიროდ კი გამომძიებელი ჟურნალისტები წლიდან წლამდე სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ თანამდებობის პირთა დეკლარაციების შემოწმებას, მნიშვნელოვანია, რომ მათაც მიეცეთ კომისიის საქმიანობაში მონაწილეობის შესაძლებლობა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მედიისა და არასამთავრობო სექტორის დასაბუთებული განცხადების საფუძველზე დაწყებული დეკლარაციების უმეტესობაში დარღვევები დასტურდება. მაგალითად, 2022 წელს ბიურომ დარღვევა დაადასტურა მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ

²¹ OECD (2022), Anti-Corruption Reforms in Georgia: Pilot 5th Round of Monitoring Under the Istanbul Anti-Corruption Action Plan, OECD Publishing, Paris, ხელმისაწვდომია [აქ](#).

²² OECD (2020), Anti-corruption Reforms in Eastern Europe and Central Asia Progress and Challenges 2016-2019, OECD Publishing, ხელმისაწვდომია [აქ](#).

დასაბუთებული განცხადების საფუძველზე შემოწმებული დეკლარაციების 95%-ში.²³ ეს მაჩვენებელი ნათლად აჩვენებს, რომ დეკლარაციების მონიტორინგით დაკავებულ სამოქალაქო სამოგალოების ორგანიზაციებს და გამომძიებელ ჟურნალისტებს მაღალი სიზუსტით შეუძლიათ სარისკო დეკლარაციების გამოვლენა.

ამასთან, დამოუკიდებელი კომისიის ვერ შექმნის პირობებში, მოწმდება მხოლოდ ბიუროს მიერ ელექტრონულად, შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე გამოვლენილი დეკლარანტები, რაც კანონით განსაზღვრული რაოდენობის მხოლოდ ნახევარია - თანამდებობის პირთა საერთო რაოდენობის 10%-ის ნაცვლად ამ შემთხვევაში მხოლოდ 5% ექვემდებარება მონიტორინგს. კომისიის ვერ შექმნის შემთხვევაში, ბიურომ უნდა უზრუნველყოფს დამატებით თანამდებობის პირთა საერთო რაოდენობის 5%-ის შერჩევა, რათა შემოწმდეს კანონით გათვალისწინებული დეკლარაციების სრული რაოდენობა (10%).

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, დეკლარაციაში არასრული ან არასწორი მონაცემის შეგანის შემთხვევაში მათი საგამომძიებო ორგანოსთვის გადაგზავნის საკითხს უკავშირდება. საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ 6 წლიანი მონიტორინგის შედეგად ჯამში პროკურატურაში მხოლოდ 11 დეკლარაცია გაიგზავნა, მაშინ როცა იმავე პერიოდში სულ შემოწმდა 2268 დეკლარაცია, დარღვევა აღმოჩნდა 1487-ში (65%) საიდანაც დაჯარიმდა 1264 დეკლარანტი.²⁴ ამასთან, წლიდან წლამდე იმრდება ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ჟურნალისტების მიერ გამოვლენილი თანამდებობრივი შეუთავსებლობის, ინტერესთა კონფლიქტისა და კორუფციის, მათ შორის უკანონო გამდიდრების, სავარაუდო შემთხვევათა სია.²⁵

პროკურატურაში გაგზავნილი საქმეების დაბალი რაოდენობა შესაძლოა, ერთი მხრივ, კორუფციული დარღვევების გამოვლენის პოლიტიკური ნების არ არსებობაზე მიუთითებს; მეორე მხრივ, ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს ბიუროს მიერ დარღვევის ხასიათის დისკრეციულად გადაწყვეტასთან („განმრახ“ იყო თუ არა არასრული ინფორმაცია მითითებული). ამის კარგი ილუსტრაციაა ის ფაქტი, რომ 2021 წლის მონიტორინგის ანგარიშში, დარღვევების გიპების აღწერისას, ვკითხულობთ, რომ „უარყოფითად შეფასებული დეკლარაციებიდან 44%-ს დარღვევა ჰქონდა უძრავი ქონების ნაწილში, სადაც გამორჩენილი იყო უძრავი ქონება...“. 2022 წლის ანგარიშშიც, დარღვევების კატეგორიის ნაწილში ბიურო კვლავ იყენებს ტერმინის „გამორჩენილი იყო.“²⁶ ბუნდოვანია და კანონი არ იძლევა მკაფიო მითითებას, როგორ აღგენს ბიურო, რომ თანამდებობის პირს უბრალოდ „გამორჩა“ დეკლარაციაში უძრავი ქონების მითითება და არ ცდილობდა, მაგალითად, მის დამალვას. 2022 წელს, პირველად, დეკლარაციების მონიტორინგის შედეგად არც ერთი დეკლარაცია არ გადაგზავნილა პროკურატურასთან,²⁷ მიუხედავად იმისა, რომ დარღვევა აღმოჩნდა დეკლარაციების 52%-ში. როგორც ბიურო მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, ბიუროს გადაწყვეტილებით, „განმრახ“ არც ერთ თანამდებობის პირს არ შეუგანია არასრული ან არასწორი მონაცემი, შესაბამისად პროკურატურასთან არც ერთი შემთხვევა არ გადაგზავნილა. 136 შემთხვევაში ბიურო ჯარიმით (სრული რაოდენობის 39%), ხოლო 45 (სრული რაოდენობის 13%) შემთხვევაში გაფრთხილებით შემოიფარგლა. არსებული პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ცვლილებას საჭიროებს კანონის ჩანაწერი, რომელი ბიუროს უგოვებს სრულ დისკრეციულ უფლებამოსილებას დაადგინოს თანამდებობის პირის განმრახვა - „განმრახ“ არ მიუთითა მონაცემები, თუ უბრალოდ „გამორჩა.“

²³ 2022 წელს განხორციელებული დეკლარაციების მონიტორინგის შედეგების ანგარიში, საჯარო სამსახურის ბიურო, დეკემბერი 31, 2022, ხელმისაწვდომია [აქ](#).

²⁴ საქართველოში ყოველი მეორე თანამდებობის პირი დეკლარაციას დარღვევებით ავსებს, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, მარტი 24, 2023, ხელმისაწვდომია [აქ](#).

²⁵ მაღალი დონის კორუფციის სავარაუდო შემთხვევები - განახლება სია, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, ბოლოს განახლება: 24.04.2023, ხელმისაწვდომია [აქ](#).

²⁶ 2022 წელს განხორციელებული დეკლარაციების მონიტორინგის შედეგების ანგარიში, საჯარო სამსახურის ბიურო, დეკემბერი 31, 2022, გვ.4, ხელმისაწვდომია [აქ](#).

²⁷ იქვე.

გარდა ზემოთაღნიშნული გამოწვევებისა, დახვეწას საჭიროებს ბიუროს მიერ განხორციელებული დეკლარაციების მონიტორინგის პროაქტიულად გამოქვეყნებული ანგარიში. აუცილებელია, რომ ბიურომ საზოგადოებას მიაწოდოს სრული ინფორმაცია დეკლარაციებში აღმოჩენილი დარღვევების შესახებ და არა შემოიფარგლოს, მხოლოდ დარღვევის კატეგორიის მითითებით. მნიშვნელოვანი ხარვეზია, რომ ხელმისაწვდომი არ არის ინფორმაცია გამოვლენილი დარღვევის მასშტაბის შესახებ. ბიუროს ანგარიშიდან შეუძლებელია გავარკვეოთ რამდენი და რა ღირებულების უძრავი ქონება არ მიუთითა თანამდებობის პირმა (მაგალითად, აგარაკი თუ ავტოფარეხი ან სხვანი, ერთი ქონება თუ რამდენიმე და ა.შ.). ხარვეზია ისიც, რომ ანგარიშში ინფორმაცია არ არის სამართალდამცავ ორგანოში გადაგზავნილი დეკლარაციის (თანამდებობის პირის) შესახებ. გარდა ამისა, ბიურო არ აქვეყნებს ინტერესთა და თანამდებობრივი შეუთავსებლობის თითოეული გამოვლენილი შემთხვევის დეტალურ აღწერას, თანამდებობის პირისა და დარღვევის დეტალური მითითებით.

გარდა ყოველივე ზემოაღნიშნულისა, მნიშვნელოვან პრობლემად რჩება საჯაროდ გამოქვეყნებულ დეკლარაციათა სანდოობის საკითხი, რადგან როგორც მონიტორინგის შედეგები გვაჩვენებს, თანამდებობის პირთა სულ მცირე ნახევარი²⁸ დეკლარაციაში სრულად არ ასახავს კანონით განსაზღვრულ ინფორმაციას, ხოლო მონიტორინგის დასრულების შემდეგ, ამ თანამდებობის პირებს აღმოჩენილი დარღვევების შესწორების ვალდებულება არ აქვთ. შესაბამისად, declaration.gov.ge-ზე ხელმისაწვდომი დეკლარაციები (მიუხედავად ბიუროს მიერ შემოწმებისა და დაჯარიმებისა) შესაძლოა კვლავაც არასრულ/არასწორ მონაცემებს შეიცავდეს. მით უფრო მაშინ, როცა მაგალითად, ელექტრონული პლატფორმა არ იძლევა შესაძლებლობას, მომხმარებელმა ნახოს აღნიშნული დეკლარაცია დაექვემდებარა თუ არა მონიტორინგს და/ან დაჯარიმდა თუ არა.

პრობლემურია საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს (დეპარტამენტის) თანამდებობის პირების დეკლარაციების საჯაროდ ხელმისაწვდომის საკითხი. კანონი ამ თანამდებობის პირებს დეკლარაციის შევსებისა და წარდგენის ვალდებულებას ითვალისწინებს, თუმცა არა მათ საჯაროობას. სუს-ის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამდებობის პირების გასაიდუმლოება ეწინააღმდეგება თავად ამ ორგანოს ამოცანებს, რომელიც სამოხელეო, კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას და სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებას, კორუფციის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის ღონისძიებების განხორციელებას მოიცავს. საერთაშორისო კარგი პრაქტიკის მიხედვით, კორუფციის წინააღმდეგ მეტროპოლი უწყებების თანამდებობის პირების დეკლარაციები საჯაროა. მათ შორის, არა თუ ხელმძღვანელი თანამდებობის პირების, ასევე მაგალითად, ანტიკორუფციულ საქმეთა გამოძიებლების.

არსებულ გამოწვევებზე საუბრისას, აუცილებელია აღინიშნოს, რომ დარღვევების მაღალი რაოდენობა მიუთითებს იმაზეც, რომ დაწესებული სანქცია (ჯარიმა) თანამდებობის პირებისათვის არ არის საკმარისად შემმლუღველი ფაქტორი, რომ თავი შეიკავონ დეკლარაციების არაკეთილსინდისიერად შევსებისგან. მაგალითად, ვენეციის კომისიის აზრით, აქტივებისა და შემოსავლების დეკლარირების მოთხოვნა დაკავშირებული უნდა იყოს იმგვარ სანქციასთან, რომელიც საკმარისად სერიოზულად ემსახურება [კორუფციის] პრევენციის მიზანს.²⁹ საქართველოში გვხვდება შემთხვევები, როდესაც დაჯარიმების მიუხედავად თანამდებობის პირი, განმეორებითაც არასწორ/არასრულ ინფორმაციას უთითებს დეკლარაციაში.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

²⁸ საქართველოში ყოველი მეორე თანამდებობის პირი დეკლარაციას დარღვევებით ავსებს, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, მარტი 24, 2023, ხელმისაწვდომია [აქ](#); საქართველოში თანამდებობის პირების ნახევარი დეკლარაციას არაკეთილსინდისიერად ავსებს, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, მარტი 16, 2022, ხელმისაწვდომია [აქ](#).

²⁹ Opinion on the Laws on the Disciplinary Liability and Evaluation of Judges of the Former Yugoslav Republic of Macedonia, Adopted by the Venice Commission at its 105th Plenary Session, Venice, December 18-19, 2015.

„ა.ა.ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული საკითხები, მისი მიზნიდან და არსიდან გამომდინარე, მოითხოვს საკანონმდებლო ცვლილების განხორციელებას.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებების მიღება და მათი პრაქტიკაში ამოქმედება გააუმჯობესებს თანამდებობის პირთა გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხს. ასევე, ხელს შეუწყობს საჯარო დაწესებულებებში კეთილსინდისიერების სტანდარტების დანერგვას, მათ შორის ინტერესთა და თანამდებობრივი შეუთავსებლობის, კორუფციული სამართალდარღვევის შემთხვევების გამოვლენას, პრევენციას, ხოლო დარღვევების არსებობის შემთხვევაში შესაბამისი ზომების გამკაცრებას.

კანონპროექტი საქართველოში ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის შემდგომ გაუმჯობესებას ემსახურება, იგი აღმოფხვრის საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ 6 წლიანი მონიტორინგის შედეგების და არსებული პრაქტიკის ანალიზის შედეგად გამოვლენილ ხარვეზებს.

დაიხვეწება წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა, გაფართოვდება თანამდებობის პირთა წრე. ამასთან, გაუმჯობესდება დეკლარაციების მონიტორინგისთვის შერჩევისა და მონიტორინგის დაწყებისა და დამოუკიდებელი კომისიის ჩამოყალიბების არსებული რეგულაციები.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

შემოთავაზებული საკანონმდებლო ცვლილებები მიემართება დეკლარაციების სისტემის გაუმჯობესებას რამდენიმე მიმართულებით:

- **ფართოვდება თანამდებობის იმ პირთა წრე, რომელთაც ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება ექნებათ**

წარმოდგენილი ცვლილებების საფუძველზე დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება გაფართოვდება იმ პირებზე, რომელთა თანამდებობებიც ინტერესთა კონფლიქტის ან/და პოტენციური კორუფციის, ასევე ძალაუფლების ბოროტად გამოყენების მომეგებულ რისკს შეიცავს. ვალდებულება გავრცელდება სახელმწიფო-პოლიტიკური და პოლიტიკური თანამდებობის პირთა მრჩეველებზე. მათ შორის, პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის სხვა წევრთა, პრეზიდენტის, სახელმწიფო რწმუნებულის, მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველები.

გარდა ამისა, OECD/ACN-ის რეკომენდაციის შესაბამისად, დეკლარაციების წარდგენის ვალდებულება ასევე გავრცელდება ანტიკორუფციულ საქმეთა გამომძიებლებზეც. წარმოდგენილი ცვლილებების შესაბამისად, დეკლარირების ვალდებულება შეეხებათ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოსა (დეპარტამენტის) და საქართველოს გენერალური პროკურატურის კორუფციულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამმართველოს გამომძიებლებს (გარდა სტაჟიორ-გამომძიებლებისა).

დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება ასევე გავრცელდება იმ საწარმოს ხელმძღვანელზე (დირექტორზე), რომლის 50 და მეტი პროცენტს ფლობს სახელმწიფო (სახელმწიფო ორგანო, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, ან/და მუნიციპალიტეტი). ამასთან, ვალდებულება გავრცელდება არა მხოლოდ საწარმოს ხელმძღვანელზე, არამედ მის მოადგილესა და მმართველობითი ორგანოს წევრზეც. აგრეთვე ამ საწარმოს შვილობილი საწარმოს ხელმძღვანელზე. რაც შეეხება სახელმწიფო საწარმოთა მმართველობითი ორგანოს წევრებს, მათ საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი გამარტივებული ფორმის შევსების ვალდებულება ექნებათ. გამარტივებული ფორმით ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისა და წარდგენის ვალდებულება ასევე ექნებათ მუნიციპალიტეტის საკრებულოს არა-თანამდებობის წევრებს.

გარდა ზემოთაღნიშნულისა, დეკლარაციის შევსებისა და წარდგენის ვალდებულება ასევე გავრცელდება შემდეგ თანამდებობის პირებზე:

- სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, საბაჟო დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი და მისი მოადგილე, განყოფილების უფროსი, საბაჟო ლაბორატორიის უფროსი; საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების ეკონომიკური ზონის უფროსი და მისი მოადგილე, სამმართველოს უფროსი და მისი მოადგილე; საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილების უფროსი; საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო გამშვები პუნქტის უფროსი და მისი მოადგილე.
- აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების აპარატის უფროსი, მისი მოადგილე, აგრეთვე პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი და მასთან გათანაბრებული პირი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი და მასთან გათანაბრებული პირი.
- აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობის აპარატის უფროსი, მისი მოადგილე, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობის აპარატების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე და მათთან გათანაბრებული პირები.
- აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროების სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები და მათთან გათანაბრებული პირები.
- სსიპ საპენსიო სააგენტოს დირექტორის მოადგილე.

● **ფართოვდება თანამდებობის პირის მიერ წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა**

შემოთავაზებული საკანონმდებლო ცვლილებებით, დეკლარანტს უჩნდება ვალდებულება დეკლარაციაში მიუთითოს სრულწლოვანი და ფინანსურად დამოუკიდებელი შვილი და მასთან დაკავშირებული სრული ინფორმაცია, მათ შორის სამეწარმეო საქმიანობა, უძრავი ქონება და ა.შ. რაც შეეხება „ახლო ნათესავებს“, ამ შემთხვევაში დეკლარანტს მხოლოდ მათი იდენტიფიცირება მოეთხოვება, შემოსავალ-გასავლის, უძრავი ქონების, ბიზნეს თუ სხვა ინტერესების განცხადების გარეშე. გათვალისწინებული ცვლილებების მიღება და მათი პრაქტიკაში ამოქმედება გააუმჯობესებს თანამდებობის პირთა გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხს. ასევე, ხელს შეუწყობს საჯარო დაწესებულებებში კეთილსინდისიერების სტანდარტების დანერგვას, მათ შორის ინტერესთა და თანამდებობრივი შეუთავსებლობის, კორუფციული სამართალდარღვევის შემთხვევების გამოვლენას.

გარდა ამისა, OECD/ACN-ის მე-5 საპილოტე მონიტორინგის ანგარიშში აღნიშნული ნაკლოვანებებისა და კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, თანამდებობის პირი ვალდებული იქნება წარადგინოს ინფორმაცია მის საკუთრებაში არსებული ნებისმიერი სახის კრიპტო ვალუტის შესახებ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, „ბენეფიციარი მესაკუთრეობის შესახებ“ ინფორმაციის განცხადებას უკავშირდება. ბენეფიციარი მესაკუთრეობის საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია, როდესაც ოფშორულ იურისდიქციებში დარეგისტრირებული კომპანიები სახელმწიფო შესყიდვებში იღებენ მონაწილეობას და არ ვიცით მათი საბოლოო [რეალური] მფლობელები ვინ არიან.

ასევე, საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდება ინფორმაცია თანამდებობის პირის მიერ თანამდებობაზე პირველად განმწესებამდე და თანამდებობის დატოვების შემდეგ გაწეული ანაზღაურებადი და არა ანაზღაურებადი საქმიანობის შესახებ.

კიდევ ერთი ცვლილება გულისხმობს კანონით დაშვებული იმ გამონაკლისის გაუქმებას, რომლის მიხედვითაც 6 წლის განმავლობაში არააქტიური კომპანიების დეკლარირება სავალდებულო არ არის და დარღვევად არ ითვლება.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია კომპანიების (იურიდიული პირების) საიდენტიფიკაციო, ხოლო უძრავი ქონების შემთხვევაში კი - მათი საკადასტრო კოდებით მითითება.

- **უმჯობესდება თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის რეგულაციები**

შემოთავაზებული საკანონმდებლო ცვლილებები აუმჯობესებს თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის ეტაპს რამდენიმე მიმართულებით, მათ შორის მონიტორინგისთვის დეკლარაციების შერჩევა, დამოუკიდებელი კომისიის ფორმირება, მონიტორინგის შედეგების გასაჯაროება.

დეკლარაციაზე მონიტორინგის დაწყება დამატებით კიდევ ორ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი: ანონიმური განცხადების და მასშედიამი გამოქვეყნებული ინფორმაციის საფუძველზე.

ცვლილებების მიხედვით, მონიტორინგისთვის დეკლარაციათა ელექტრონულად შემთხვევითი შერჩევისას გამოყენებული იქნება რისკებზე დაფუძნებული მიდგომა. ბიურო ვალდებული იქნება, უზრუნველყოფს რისკებზე-დაფუძნებული ავტომატურ შერჩევა, რომელიც დეკლარანტთა რისკ-კატეგორიებად, მათი თანამდებობისა ან ფუნქციების გათვალისწინებით დააჯგუფებს და შემდეგ გადაარჩევს. შესაძლებელი იქნება, დარღვევის არსებობის მაღალი ალბათობის შემცველი დეკლარაციებს გამოვლენა.

ცვლილებები შეეხება ყოველწლიური მონიტორინგისთვის დეკლარაციების შერჩევის დამოუკიდებელი კომისიის დაკომპლექტების საკითხს და მიზნად ისახავს, წლების განმავლობაში კომისიის ვერ ჩამოყალიბების მანკიერი პრაქტიკის შეცირებას. კერძოდ, ბიუროს უფროსის ბრძანების საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი კომისიის დაკომპლექტება შესაძლებელი იქნება არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებისა და აკადემიური წრის ან/და კორუფციის თემაზე მომუშავე ჟურნალისტებისგან (3 წევრი არასამთავრობო ორგანიზაციიდან და 2 - აკადემიური წრის წარმომადგენელი ან/და ჟურნალისტი). ამასთან, ცვლილებების მიხედვით, კომისიის ვერ შექმნის შემთხვევაში, ბიურომ უნდა უზრუნველყოფს დამატებით თანამდებობის პირთა საერთო რაოდენობის 5%-ის შერჩევა, რათა შემოწმდეს კანონით წლის განმავლობაში გათვალისწინებული დეკლარაციების სრული რაოდენობა (10%).

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება, დეკლარაციაში არასრული ან არასწორი მონაცემის შეგანის შემთხვევაში მათი საგამოძიებო ორგანოსთვის გადაგზავნას ეხება. ინიცირებული ცვლილებების შესაბამისად, დეკლარაციაში არასრული ან არასწორი მონაცემის შეგანის შემთხვევაში დანაშაულის ნიშნების არსებობისას ბიურო ვალდებული ხდება შესაბამისი დეკლარაცია და წარმოების მასალები რეაგირებისათვის სათანადო სამართალდამცავ ორგანოს გადაუგზავნოს. და ამასთან, აღნიშნულის შესახებ (დეკლარანტის და დარღვევის ფორმა) ინფორმაცია საჯაროდ გამოქვეყნებულ მონიტორინგის ანგარიშშიც მიუთითოს. ანგარიში ასევე უნდა მოიცავდეს დეტალურ აღწერას ინტერესთა და თანამდებობრივი შეუთავსებლობის თითოეული გამოვლენილი შემთხვევის შესახებაც. გარდა ამისა, ხორვატიის³⁰ კარგი პრაქტიკის მაგალითზე, ბიურო ვალდებული იქნება უზრუნველყოს თანამდებობის პირის დაჯარიმების შესახებ „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ბიუროს უფროსის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – განკარგულების საჯაროდ ხელმისაწვდომობა.

დამატებით, თანამდებობის პირი ვალდებული იქნება ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში შეიტანოს ცვლილებები და ბიუროს მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად აღმოჩენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, ბიუროს მიერ თანამდებობის პირისთვის მონიტორინგის საბოლოო შედეგების შეტყობინებიდან ერთი თვის ვადაში. აღნიშნული, ცვლილება კრიტიკულად მნიშვნელოვანია,

³⁰ Povjerenstvo za odlučivanje o sukobu interesa, [Akti Povjerenstva](#) [Conflict of Interest Commission, Commission Acts].

მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო ორი წელია ყოველი მეორე დეკლარაცია ხარვეზიანი და არასრულ ინფორმაციას შეიცავს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება დეკლარაციების ხელმისაწვდომობას ეხება. კერძოდ, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს (დეპარტამენტის) თანამდებობის პირების დეკლარაციები საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდება.

სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები

- მკაცრდება სანქცია დეკლარაციაში დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში. კერძოდ, 3 წლის განმავლობაში თანამდებობის პირის განმეორებით დაჯარიმებისას, თანამდებობის პირს ერთი კალენდარული წლით შეეზღუდება თანამდებობრივი დაწინაურება ან/და თანამდებობრივი სარგოს მრდა და ფულადი ჯილდოს მიღება.
- ინიცირებული ცვლილების საფუძველზე თანამდებობის პირი ვალდებული იქნება ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში შეიგანოს ცვლილებები ბიუროს მიერ განხორციელებული ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის შედეგად აღმოჩენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად (ბიუროს მიერ მისთვის მონიტორინგის საბოლოო შედეგების შეგუბინებიდან ერთი თვის ვადაში).
- მცირდება არაარსებითი დარღვევის დადგენის საფუძვლები. კერძოდ, უძრავი ქონების არამუსკი ფართობის მითითება არ შეიძლება რეგულაციური იყოს, რადგან დეკლარაციის შევსების დროს თანამდებობის პირს ავტომატურ რეჟიმში მიეწოდება ინფორმაცია მის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონების შესახებ.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში);

კანონპროექტი საქართველოს მთავრობის მიერ არ არის ინიცირებული.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება;

ვინაიდან შეგანილი ცვლილებების პრაქტიკაში დანერგვა შესაძლოა საჭიროებდეს გარკვეულ მოსამზადებელ სამუშაოებს (მაგალითად, „თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენისა და მონიტორინგის სახელმძღვანელოს“ განახლებას) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღად შემოთავაზებულია 2024 წლის 1 იანვარი. კანონპროექტი არ ითვალისწინებს კანონისთვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას);

არ არის მოთხოვნილი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება დამატებით საბიუჯეტო ხარჯებს არ მოითხოვს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება ითვალისწინებს „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად განსაზღვრული თანამდებობის პირთა ჩამონათვალის და შესაბამისად, ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარმდგენ პირთა წრის გაფართოებას. ამ თანამდებობის პირების მიერ ქონებრივი დეკლარაციის წარუდგენლობა ან კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ინფორმაციის წარმოუდგენლობა (დარღვევის არსებობა) პასუხისმგებლობის ზომად ითვალისწინებს ფულად ჯარიმას. შესაბამისად, გემოთ აღნიშნული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია, სახეზე გვექონდეს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე გავლენა.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიხედვით სახელმწიფო არ იღებს ახალ ფინანსურ ვალდებულებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა;

კანონპროექტის მიღება ითვალისწინებს „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად განსაზღვრული თანამდებობის პირთა ჩამონათვალის და შესაბამისად, ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარმდგენ პირთა წრის გაფართოებას. ამ თანამდებობის პირების მიერ ქონებრივი დეკლარაციის წარუდგენლობა ან კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ინფორმაციის წარმოუდგენლობა (დარღვევის არსებობა) პასუხისმგებლობის ზომად ითვალისწინებს ფულად ჯარიმას.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის (ფულადი შენაგანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი;

კანონპროექტი არ ადგენს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახადს (ფულად შენაგანს).

ბ¹) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე არ ექნება გავლენა.

ბ²) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტი არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება ხელს შეუწყობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კორუფციის წინააღმდეგ კონვენციით (UNCAC) ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

ამასთან, დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის როგორც ერთ-ერთი ძირითადი ანტიკორუფციული ფუნქციის გაუმჯობესება, მისი საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება, დადებითად აისახება ევროკომისიის მიერ საქართველოსთვის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭებისთვის განსაზღვრული მეოთხე რეკომენდაციის შესრულებაზე.³¹ მეოთხე რეკომენდაციის შესრულების ფარგლებში შექმნილი ახალი უწყების სსიპ ანტიკორუფციული ბიუროს ერთ-ერთი ამოცანა სწორედ თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების სისტემის ქმედითი ფუნქციონირებაა.

დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის დახვეწა გათვალისწინებულია ევროკავშირის-საქართველოს 2021-2027 წლების ასოცირების დღის წესრიგითაც.³²

გარდა ამისა, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელის (OECD/ACN) მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებას.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი;

კანონპროექტის მიღება გააუმჯობესებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კორუფციის წინააღმდეგ კონვენციის (UNCAC) (განსაკუთრებით მისი II თავის) მოთხოვნებთან.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს. თუმცა, კანონპროექტზე მუშაობისას გამოყენებულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელის (OECD/ACN) მიერ საქართველოს მონიტორინგის მეოთხე და მეხუთე საპილოტე რაუნდების რეკომენდაციები და შეფასებები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

³¹ Opinion on the EU membership application by Georgia, European Commission, June 17, 2022, ხელმისაწვდომია [აქ](#).

³² Recommendation No 1/2022 of the EU-Georgia Association Council of 16 August 2022 on the EU-Georgia Association Agenda 2021-2027 [2022/1422], p. 52, ხელმისაწვდომია [აქ](#).

ასეთი შეფასება არ მომზადებულა.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში;

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა. თუმცა, კანონპროექტზე მუშაობისას გამოყენებულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელის (OECD/ACN) მიერ საქართველოსთვის გაცემული რეკომენდაციები და შეფასებები.

ე) კანონპროექტის ავტორი;

ა(ა)იპ საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო

ვ) კანონპროექტის ინიციატორი.